სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №03-11

15.01.2015

ქ. თბილისი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის, რომელთაც შეტანილი ჰქონდათ განაცხადი საქართველოს განთლებისა და მეცნიერების სამინისტროში სხვადასხვა სახის სოციალური გრანტის (დაფინანსების) მისაღებად და ვერ მოიპოვეს დაფინანსება, სწავლის საფასურის გადახდის შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-19 მუხლისა და მე–20 მუხლის 1–ლი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, რომელთაც შეტანილი ჰქონდათ განაცხადი საქართველოს განთლებისა და მეცნიერების სამინისტროში სხვადასხვა სახის სოციალური გრანტის (დაფინანსების) მოსაპოვებლად და ვერ მოიპოვეს დაფინანსება, დაფარონ სწავლის საფასურის არსებული დავალიანება ჯარიმის გარეშე, დანართი 1–ის მიხედვით განსაზღვრულ ვადებში.

2. ამ ბრძანებით დანართის მიხედვით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში სტუდენტებს დაერიცხებათ ჯარიმა ხელშეკრულების მიხედვით.

3. დაფინანსების შესახებ ინფორმაციის მისაღებად სტუდენტებმა უნდა დარეკონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელ ხაზზე: 2 200 220.

4. სტუდენტებმა, რომელთაც მიიღეს დაფინანსება და გადაიხადეს გადასახადი, თანხის დაბრუნების შესახებ განაცხადი და პირადი საბანკო ანგარიშის

რეკვიზიტები უნდა წარადგინონ უნივერსიტეტის კანცელარიაში (მის: ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5).

5. ფაკულტეტებს დაევალოს უზრუნველყონ ამ გრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის.

6. ირინა ბაზღაძეს დაევალოს ამ გრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი"-ს საშუალებით.

7. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ გრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

8. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს გრძანება გააცნოს ფაკულტეტებს, საფინანსო და აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამდივნოს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე - ირინა ბაზღაძეს.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **დავით აფრასიძე**

სრული გადახდა	სწავლის წლიური საფასური სრულად უნდა დაიფაროს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით;
ორად გაყოფა	სწავლის წლიური საფასურის პირველი ნახევარი უნდა დაიფაროს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით; მომდევნო გადასახადი - ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში;
ოთხად გაყოფა	სწავლის წლიური საფასურის პირველი ორი მეოთხედი (ანუ ჯამში ერთი სემესტრის საფასური) უნდა დაიფაროს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით; მომდევნო ორი გადახდა - ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში;
ექვსად გაყოფა	სწავლის წლიური საფასურის სამი მეექვსედი უნდა დაიფაროს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით; მომდევნო სამი გადახდა - ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში;